ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01193163157**
თარიღი: **12/11/2019**
პინი: **4243**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა, თქვენი 2019 წლის 07 ნოემბრის N17-011931131-18 წერილი და თანდართული, მოქალაქე მიხეილ კეიდარის მიერ წარმოდგენილი სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის (ქ. თბილისი, სოფელი შინდისი ს.კ.: 81.02.38.138; AR1694086; III კლასი, ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი, ფუნქციური ზონა: სზ-1) გამწვანების პროექტი.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში გასაშენებლად შემოთავაზებული: 2 ძირი მჩხვლეტავი ნაძვი, 1 ძირი კავკასიური სოჭი, 2 ძირი იტალიური ფიჭვი, 3 ძირი წვრილფოთოლა ცაცხვი, 6 ძირი წვრილფოთოლა ცაცხვი, 2 ძირი ალბიცია, 2 ძირი წითელი ნეკერჩხალი ვერ ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტით ასათვისებელ საანგარიშო მინიმალურ ფართობს (397.25 კვ.მ/0.4). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

შესაბამისად სამსახური თანახმაა დამტკიცდეს წარმოდგენილი გამწვანების პროექტი.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი